ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-07/6

26/04/2021

6-01-07-4-202104261445

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე
სხდომის ჩატარებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N34 დადგენილების 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მოწვეულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2021 წლის 28 აპრილს 12-00 საათზე, რომელიც ჩატარდება ქობულეთის კულტურის სახლის დარბაზში. (მის: ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი N114);

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 28 აპრილის საკრებულოს გასვლითი სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნას შემდეგი საკითხები:

2.1. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური-ანტიკორუფციული სააგენტო (დეპარტამენტი) 2021 წლის 06 აპრილის NSSG 3 21 00042755 მომართვა - თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვიტალი ქარცივაძის შესახებ;

(მომხსენებელი: მამია ჟორდანია)

2.2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 29 მარტის N01-14/2873 მომართვა - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ";

(მომხსენებელი:ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძე)

2.3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 19 აპრილის N01-14/3984 მომართვა-,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქალაქთაშორისო და სოფლის ავტობუსებზე შ.პ.ს. ,,ქობულეთის ტრანსრეგულირება"-ს მიერ მგზავრობის მიმართულებებისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფების დადგენის შესახებ";

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი ზურაბ ამაღლობელი)

2.4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 01 აპრილის N01-14/3066 მომართვა -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში მდებარე 15058 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N01/2-279.20 კვ. მეტრი საერთო ფართის შენობა-ნაგებობა (ს/კ 20.48.01.137) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი ზურაბ ამაღლობელი)

2.5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 19 მარტის N01-14/2515 მომართვა -ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით,იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, 9 აპრილის ქუჩა N28-ის მიმდებარედ 6906,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.06.956) 200.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ,,მ.ხარაზი");

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი ზურაბ ამაღლობელი)

2.6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 12 მარტის N01-14/2119 მომართვა - ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება"-ს 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: ზვიად რომანაძე)

2.7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 12 მარტის N01-14/2119 მომართვა -შპს ,,ქობულეთის წყალი"-ს 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: ჯემალ მეგრელიძე)

2.8. შპს ,,ქობულეთის სოფლის წყალი"-ს 2021 წლის 12 მარტის N29 მომართვა- 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: სულიკო თხილაიშვილი)

2.9.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 26 მარტის N01-14/2807 მომართვა ა(ა)იპ ,,ქობულეთის პარკი"-ს 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: დავით ნიჟარაძე)

2.10. ა(ა)იპ ,,ქობულეთის სანდასუფთავება"-ს 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ- 2021 წლის 04 მარტის N26 მომართვა;

(მომხსენებელი: გიორგი მჟავანაძე)

2.11. ა(ა)იპ ,,ქობულეთის ტრანსრეგულირება"-ს 2021 წლის 08 თებერვლის N12 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი:მერაბ პაპუნაიშვილი)

2.12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სოლომონ ბაჯელიძის განცხადება საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიაში წევრად შესვლის თაობაზე;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვაჟა შავიშვილი)

2.13. ა(ა)იპ ,,ქობულეთის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის 2 მარტის N01-15/15 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: სოფიო მოწყობილი)

2.14. შპს ,,სარაგბო კლუბი პონტო"-ს 2021 წლის 15 მარტის მომართვა - შპს ,,სარაგბო კლუბი პონტო"-ს 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: ნოდარ მიქელაძე)

2.15. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 16 მარტის №01-18/2278 მომართვა - ა(ა)იპ ,,ქობულეთის საბავშვო გაერთიანება"-ს 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: ია ხალვაში)

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა